

**სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის სერტიფიკატის ფორმების დამტკიცებისა და სერტიფიკატის
გაცემის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის სერტიფიკატის ფორმების დამტკიცებისა და სერტიფიკატის გაცემის წესი (შემდგომში – წესი) ადგენს სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სერტიფიკატის ფორმებს და რეკვიზიტებს, განსაზღვრავს აკადემიის მიერ მისი გაცემისა და განადგურების წესს.

მუხლი 2. აკადემიის სერტიფიკატის გაცემის საფუძველი

1. აკადემიის სერტიფიკატი გაიცემა აკადემიაში განხორციელებადი საგანმანათლებლო პროგრამის/კურსის/ტრენინგის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.
2. აკადემიის სერტიფიკატი გაიცემა თუ პირმა წარმატებით დაასრულა აკადემიის:
 - 2.1. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
 - 2.2. გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების კურსი;
 - 2.3. სპეციალური მომზადების პროგრამა/კურსი;
 - 2.4. სახელშეკრულებო სპეციალური პროგრამა/კურსი;
 - 2.5. ენის სწავლების კურსი;
 - 2.6. ტრენინგი.

მუხლი 3. აკადემიის სერტიფიკატის მომზადება/გაცემა

1. აკადემიის სერტიფიკატი შეიძლება მომზადდეს და გაიცეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით (დანართი N1, N2, N3).
2. აკადემიის რექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სერტიფიკატი მსმენელს გადაეცეს საზეიმო ვითარებაში.
3. ელექტრონულ სერტიფიკატზე წვდომა შესაძლებელია აკადემიის ელექტრონული სწავლების პორტალზე (<http://el.policeacademy.ge/>) შესაბამისი მომხმარებლისა და პაროლის მითითებით.
4. ელექტრონული სერტიფიკატის აკადემიის ელექტრონული სწავლების პორტალზე მომზადებას/გაცემას უზრუნველყოფს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ელექტრონული სწავლების განყოფილება.
5. აკადემიის სერტიფიკატის გაცემა რეგისტრირდება აკადემიის სერტიფიკატების /დუბლიკატების ელექტრონულ რეესტრში, რომელსაც აწარმოებს აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

მუხლი 4. აკადემიის სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

აკადემიის სერტიფიკატის მიღების უფლება აქვს აკადემიის მსმენელს, რომელიც წარმატებით გაივლის საგანმანათლებლო პროგრამას/კურსს/ტრენინგს.

მუხლი 5. აკადემიის სერტიფიკატის ენა

აკადემიის სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. აკადემიის რექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მისი შედგენა ინგლისურ ენაზე.

მუხლი 6. აკადემიის სერტიფიკატის მოქმედების ვადა

აკადემიის სერტიფიკატი გაიცემა განუსაზღვრელი მოქმედების ვადით. აკადემიის სერტიფიკატი შეიძლება გაიცეს განსაზღვრული მოქმედების ვადითაც, თუ ეს გათვალისწინებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით/კურსით/ ტრენინგით. სერტიფიკატის განსაზღვრული ვადით გაცემის შემთხვევაში, მასში გაკეთდება სათანადო აღნიშვნა.

მუხლი 7. აკადემიის სერტიფიკატის ფორმები

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის 2.1. – 2.4. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამების/კურსების დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი, მსმენელის აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით გაიცემა შემდეგი სახით:
 - 1.1 კარგად - 51-70 %;
 - 1.2 ძალიან კარგად - 71-89 %;
 - 1.3 წარჩინებით - 90-100 %.
2. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის 2.5. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ენის სწავლების კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი, მსმენელის აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით გაიცემა შემდეგი სახით:
 - 2.1. კარგად - 70% - 80%;
 - 2.2. ძალიან კარგად - 81% - 90%;
 - 2.3. წარჩინებით - 91% - 100%.

მუხლი 8. აკადემიის სერტიფიკატის დუბლიკატი

1. აკადემიის სერტიფიკატის დუბლიკატი (შემდგომში – დუბლიკატი) გაიცემა პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
2. დუბლიკატის გაცემა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ აკადემიაში იძებნება საამისოდ სრული ინფორმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დუბლიკატი არ გაიცემა.
3. დუბლიკატი გაიცემა N1 ან N3 დანართით განსაზღვრული ფორმით, რომელზეც მარჯვენა მხარეს (მცირე გერბთან) დატანილი იქნება სიტყვა „დუბლიკატი“, ინგლისურენოვანი დუბლიკატის შემთხვევაში - „Duplicate“.
4. დუბლიკატის რეგისტრაცია ხდება აკადემიის სერტიფიკატების/დუბლიკატების ელექტრონულ რეესტრში.

მუხლი 9. აკადემიის სერტიფიკატის დანართი

1. აკადემიის სერტიფიკატს შეიძლება ჰქონდეს დანართი მსმენელის აკადემიური მოსწრების თაობაზე დამატებით ინფორმაციის შესახებ.

მუხლი 10. აკადემიის სერტიფიკატ(ებ)ის განადგურების წესი

1. აკადემიის მიერ გასაცემი (დასაბეჭდი) ან გაცემული (დაბეჭდილი) სერტიფიკატი ექვემდებარება განადგურებას, თუ ის შეიცავს რაიმე ტექნიკური ხარვეზს (შეცდომა პირად მონაცემებში, თარიღში, ციფრებში, დასახელებაში და ა.შ) და ამის გამო ის გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სერტიფიკატების განადგურებას უზრუნველყოფს აკადემიის დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისია დადგენილი წესის შესაბამისად.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია



სერტიფიკატი

ექლავა

000000

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს აკადემიის რეძტორი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია




რექტორი
სახელი გვარი

00/0 000000





Legal Entity of Public Law - Academy of the Ministry
of Internal Affairs of Georgia



000000

Rector
Legal Entity of Public Law -
Academy of the Ministry of
Internal Affairs of Georgia

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის ბრძანება 20.08.2020 N1953488